“მე ვარ სტუმარი...”

შორეული (პატარა ქვეყანაშიც მოიძებნება შორეული მხარეები) ჯუთიდან, რომელსაც ასე მიმართავდა “სამოთხიდანაც დაგინახავდი, ქვესკნელიდანაც ამოვიდოდი, ჩემო ჯუთაო...”, ჩამოვიდა იმ მხარისთვის უჩვეულოდ ფერმკრთალი ყმაწვილი. მანძილი ჯუთიდან უნივერსიტეტამდე, სადაც (მოწმე ვარ) სტუდენტთა უმეტესობას ფილოლოგიურ ფაკულტეტზეც კი ხევი ხევსურეთისგან და მთიულეთი მთიანეთისგან და ა.შ. ვერ გაურჩევია, მას დაძლეული ჰქონდა რაღაც შინაგანი მზადყოფნით, რაღაც განუცდელი გამოცდილებით, რომლის შესახებ თავადაც არ უნდა ჰქონოდა რაიმე წარმოდგენა. მორცხვი, მაგრამ თამამი, არა კადნიერი; ამაყი, თან მორჩილი, არა დამორჩილებული; მკაცრი შინაგანად სინაზესთან ერთად, არა განაზებული; მშვიდი შინაგან ბობოქრობასთან ერთად, არა თავდავიწყებული... რაინდი, რომლის დაუწერელი (როგორც ვამბობთ) კოდექსი არა ქაღალდზე, არა სადღაც მის გარეშე, გულსგარეთ, როგორც მოვალეობა, არამედ გულზე, ხორცის დაფაზე ეწერა... პირველგამცნობი იკითხავდა, საიდან მოდის ეს კულტურა, პიროვნული ავთანდილური ზრდილობა, განუპირობებელი – რომელი როსტევანიდან, რომელი საუკუნეებიდან, რომელი დროიდან, რომელი უდროობიდან... უცოდნელად რაღაცის მცოდნე, ცოდვის გამძაფრებული განცდა-შეგნებით (“შენ რაღაც უკვე ისეთი იცი, რომ უფალს თვალში გაეჩხირები...”), ცოდნით, რომელმაც საბოლოოდ დააწერინა: “შენ რომ იტანჯები, ეს კარგია, მაგრამ შენი გულისთვის სხვა თუ იტანჯება?..” მიუკვლეველია, უფალო, შენი გზები – ეს ვიცით, ვრწმუნდებით ყოველდღიურად, მაგრამ ადამიანის გზები კი მიკვლეულია? იბადება საიდუმლო და, იმის ნაცვლად, რომ იშლებოდეს, როგორც კვირტი და როგორც კოკორი, გაუშლელად ეფარება ჩვენს თვალს. რა გამოხატავს ამ საიდუმლოს? ლექსები? როგორი შეცდომაა, რა ილუზიაა. რა ჩააღწევს იმ სიღრმეებში. და თუ ჩააღწია, რა ამოყვება სიტყვას? ოდესმე ამოყოლია?

ოდესმე რაიმე გაცხადდებულა? ვდგავართ ერთმანეთის წინ, თვალებით, სიტყვით ვესიტყვებით ერთმანეთს, საიდუმლო კი რჩება საიდუმლოდ. არც მაშინ ცხადდება, როცა წიგნი წაკითხულია მომხდარის შემდეგ და ყდები იხურება. რატომ, რატომ? რატომ დადგა ის საათი? გარს უვლი ამ კითხვით უკარო კოშკს და უპასუხოდ შორდები. პასუხი ამგვარ კითხვაზე არასოდეს გაცემულა.

ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მოწმის თუნდაც გულწრფელი აღიარება არაფერს გიმხელს, არც დატოვებული წერილი, ავთანდილური ანდერძი ("ჰე, მეფეო, გავიპარე..."), უკანასკნელი ნების ერთადერთი საბუთი. ეს ლექსები, რომლებიც დარჩა მას, მხოლოდ იმ საიდუმლოდან ამოსროლილი შხეფებია, რისთვის – ვინძლო ეპკუროს ვისმე. "ერთი ცრემლი პოეტის – ნუთუ მართლა ერთია?"

ზურაბ კიკნაძე